ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

იამზე პაქსაშვილის მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში

(ანგარიშგების პერიოდი: 01/11/2022 წ- დან 01/11/2023 წ - მდე)

2021 წ დეკემბრიდან ვარ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბორითის თემიდან მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსით, ჩემი სამაჟორიტარო თემი მოიცავს 9 სოფელს, ესენია: ბორითი, დინარი, ერეთა, ამაშუკეთი, ციხისძირი, ვაშლევი, საქასრია, მაქათუბანი და უბისა. ამასთან ერთად ვარ საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის და ფრაქცია „ ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო" - ს წევრი. გამომდინარე ჩემი სამსახურეობრივი გრაფიკიდან ვცდილობდი არ გამომეტოვებინა საკრებულოს გეგმიური, რიგგარეშე და ჯანდაცვის კომისიის სხდომები.

აქტიურად ვიყავი ჩართული მოსახლეობასთან ერთად 2023 წლის ბიუჯეტის განხილვაში.უშუალოდ ჩემი ინიციატივით მოხდა სოციალურ და ჯანდაცვის ბიუჯეტში „ინვიტრო განაყოფიერების" პროგრამის დაფინანსების დამატება, რამაც გაუადვილა რაიონში არსებულ უშვილო წყვილებს მკურნალობა.

აქტიურ კომუნიკაციაში ვარ ჩემს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სკოლებისა და საბავშვო ბაღის კოლექტივებთან, ვიცნობ მათ პრობლემებსა და საჭიროებებს.

ახლოს ვიცნობ ყოველ მოსახლეს, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში და საკრებულოს თავჯდომარის გვერდში დგომით ვეხმარებით მათ არსებული პრობლემების გადაჭრაში.

აღსანიშნავია, ის რომ ხარაგაულში დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესებას და წახალისებას. ამის ნათელი მაგალითია სოფელ უბისაში თანამედროვე სტანდარტებით აშენებული ფეხბურთის მოედანი და ის სპორტული ღონისძიებები, რომლებიც ტარდება რაიონის მაშტაბით, მათ შორის ბორითის ფეხბურთის სტადიონზე.

სისტემატიურად ხორციელდება სკოლების მშენებლობა რეაბილიტაცია, სადაც მოსწავლეებს ყველა პირობა აქვთ იმისთვის, რომ სრულფასოვანი განათლება მიიღონ. მიმდინარე წელს დაიწყო ვაშლევის სკოლის სრული რეაბილიტაცია.

აქტიურად ვარ ჩართული ჯანდაცვისა და სოციალურ კომისიის საქმიანობაში, მათთან ერთან განვახორციელეთ სამედიცინო აქციები: საქასრიაში-მრავალპროფილური გუნდი ქუთაისიდან უფასოდ მოემსახურა მოსახლეობას. ბორითში კლინიკის ტერიტორიაზე ჩატარდა ძუძუს კიბოს სკრინინგი, თბილისიდან პროფესიონალ კარდიოლოგთა და სხვა პროფილური ექიმების და ოფთალმოლოგის უფასო კონსულტაციები.

აქტიურად არის მოსახლება ჩართული „გაიღე სისხლი გადაარჩინე სიცოცხლე" აქციის ფარგლებში.

ყველა ზემოთ აღნიშნული აქციით მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია, რასაც გამოხატავს ხმამაღლა და ღია სოციალურ სივრცეში და ღია საუბრებში და აქვთ მოლოდინი შემდგომი აქციების.

როგორც მაჟორიტარი ჩართული ვარ ჩემს სამაჟორიტარო სოფლებში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგში, რათმაუნდა ჩემი კომპეტენციის ფარგლებში. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს იკვეთება საჭიროებები და პრობლემები და ვახდენთ მათი მოგვარების გზების ერთობლივ დაგეგმვას ადგილობრის ხელისუფლებასთან ერთად. ვარ აქტიური, რასაც შემდგომშიც გავაგრძელებ და დავიცავ თითოეული მოსახლის ინტერესს.

პატივისცემით : იამზე პაქსაშვილი